

ე. სანიკიძე

„კიბო“

მოქმედი პირები

ნიკა - მასპინძელი

თემო - ნიკას მეგობარი

ლავჩიკა -ამათი მეგობარი, ნიკას თანამშრომელი

მოქმედების ადგილი -ნიკას თნამედროვე, კეთილმოწყობილი ბინა, სასტუმრო ოთახი-სამეულის კუთხითა და ბარის ნაწილით სცენის მოპირადპირე მხარეებზე, შუაში-თავისუფალი სივრცით, ფანჯრის დეკორაციით სიღრმეში.

1.

ნიკა 46 წლის წარმოსადეგი მამაკაცი სახლშია, ხალათით, წრუპავს ვისკის, უსმენს მუსიკას. რეკავს ტელეფონი

- ბატონო

- ჰო, თემო, გაგიმარჯოს, ძმაო, რა იყო, რა ხმა გაქვს?

- კი, კი, მარტო ვარ, რა იყო?

-კი ძმაო, გამოდი, რაზეა საუბარი.. ბიჭო, ხო მშვიდობაა, რამე სერიოზული ხომ არ მოხდა

-ჰო, კარგი მაშინ, მოდი, გელოდები, აბა..

კიდებს ყურმილს, გაკვირვების გრიმასა, კეფას მოიფხანს, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, ვისკის მოსვამს ისევ, მერე გაიხედ-გამოიხედავს, ხელებს მოიფშტეს, ჯერ მუსიკას გამორთავს, მერე გადის სამზარეულოში და ემზადება ძმაკაცის დასახვედრად.

2.

ზარი კარზე, ნიკა ადებს, თემო შემოდის

-აუ, მაპატიე, რა..

-შემო, ბიჭო, შემო, არ გცხვენია? მოდი, გაიხადე, მომეცი ესა - ართმევს ლაბადას, კიდებს და თემოს ოთახში შემოუძღვება

- დაჯე, ვისკის ხომ დალევ? -უსხამს და აწოდებს

- კი, ზუსტად ეს მჭირდება ახლა..

- ჰო, მოსვი, დაჯე გემრიელად, დამშვიდდი და მითხარი მერე, რა მოხდა. რა ხმა გქონდა ტელეფონში, რა იყო..

თემო მართლაც მოსვამს ვისკის, საყელოს მოიღელავს, დაჯდება თავისუფლად, თავს გადააგდებს ტახტზე. ნიკა შემოდის ხელში ლანგარით და ჟურნალების მაგიდაზე დააწყობს თეფშებს მისაყოლებლით..

-ყავა ხო არ გაგიკეთო?

-არა, არა, ნიკ, დაჯე, ძმაო, ისედაც შეგაწუხე.. მაგრამ, მარტო შენ მყავხარ სამმაკაცოში მარტოხელა და შენთან მოსვლა მერჩინა, რა.. სხვებთან ხო იცი, ცოლები, შვილები, დედა-სიდედრები.. არავის ნერვი არ მქონდა ახლა..

-კი, კაცო, რაზეა საუბარი - მოკალათდება ნიკაც მოსასმენად მოემზადება - თან დღეს მეც დიდი პროექტი დავამთავრე და დასვენება გადავწყვიტე, არ წამომიღია სახლში საქმე. ბიჯო, მოკვდი, რაა, გადავიწვი უკვე, აი, სამუშაო საათები კი არ არსებობს უკვე.. 24 საათი მუშაობ რეალურად.. სამსახურში ხომ საგიჟეთია და სახლშიც რომ მოდიხარ, კი ვერ ისვენებ, ტო.. ზიხარ კიდე და აბა, მეილები, და აბა, ზარები და ეს ონლაინ შეხვედრები და ამბები და კაროჩე, რა... გეფიცები, სადმე თუ არ წავედი 3-4 დღე მაინც, ცოტა თუ არ დავისვენე? მალე გასაავენებელი გაგიხდებით, გეუბნები))

- ბიჭო, უფროსი შენა ხარ და აპახავე სხვები, შენც, რა ამბავია, მართლა, ლამის 20 წელია, გიცნობ და სუ ეგრე ხარ რა..

- ეეეჰ, არაა ეგრე, ჩემო თემო.. განა არ ვცადე, ვანაწილებ საქმეს, ვაკეთებინებ, ხო იცი ჩემი ამბავი, მარა, უჭირთ, რა.. ან ვერ აკეთებენ მაინც, მე როგორც მინდა, ისე, ან აკეთებენ, მარა ძან დიდი დრო ეხარჯებათ და არაა ამდენი დრო, ძმაო. დასწრებაზე და მოსწრებაზეა ახლა ყველაფერი, თუ გინდა საქმე მოიგო. დრო ფულია, ხო იცი?!

- ჰო, მესმის, კი.. თითქოს ყველა უმუშევრობას უჩივის და საქმე - საქმეზე რომ მიდგება და მოსთხოვ, ან ცოდნა არ ჰყოფნის, ან უნარები, ან გამოცდილება, ან სმიკალკა არა აქვს.. გაგიჟდები, რა მართლა, ნორმალური კადრი რეალურად ცოტაა, რა.. ყველა ან ხალტურაზე და გადაგორებაზეა ან ერთი დღე მოიგიჟიანებს თავს და მერე მოემშვება და ასე.. უჰ, რა სისულელედ და უაზრობად მეჩვენება ახლა ყველაფერი.. რა აბსურდია,

ისე, მთელი ეს მარათონი და სინამდვილეში რა ცოტა სჭირდება ადამიანს სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის..

- ჰო.. ზუსტად თქვი, რა.. მარათონია. ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, მიაგდო ერთი ყველაფერი, წახვიდე სადმე ლამაზ და მივარდნილ სოფელში და იცხოვრო შენთვის გემრიელი შრომით და მარტო დღევანდელი დღით..მარტო დღევანდელით..- წამით ჩაფიქრდება და მერე წამოიწევს სკამის კიდეზე, თემოსკენ აწევს ნიკაპს:

-მარა, შენ რატომ იყავი ასე აღელვებული, რა მოხდა, აბა, მოყევი.. რო დარეკე, ძლივს ლაპარაკობდი. ავლდი კიდეც, ნატას რამე ხომ არ დაემართა - თქო, ან ნაზი დეიდას, ბიჭო, რა ვიცი..

- არ მითხრა, რა.. საიდან დავიწყო და რა გითხრა, ან როგორ გითხრა.. არც ვიცი, რა...

- მთავარით დაიწყე, თემო, და მერე ნელ-ნელა მივყვით. რამე შარში ხომ არ ხარ? ვალი? თემო თეფშიდან რაღაც იღებს, ლეჭავს და თან თავს იქნევს უარის ნიშნად.

-აბა, სამსახურშია რამე პრობლემა? რამე იაღლიში ხომ არ მოგივიდა, ბიჭო?

თემო ცივი უარის ნიშნად წარბებს ჭმუხნის და თავს იქნევს ისევ

-აუ, ნეტა მართლა ვალის და სამსახურის მეტი პრობლემა არ მქონდეს..

-აბა, რა ხდება, ტო.. თქვი მაშინ რა..

-როგორ გგონია, ნიკ, ამ შუალამისას რატომ დაგირეკე და მოვედი აქა?

-აუ, არ მითხრა ახლა, რომ ნატასთან მოგივიდა რამე იაღლიში, თორემ გავგიჟდები! რაც თქვენ გადაიტანეთ ბიჭო, სამი წლის წინ, რაც შენ გააკეთე, ძმაო, რაც იმან იწვალა კიდე და რაც ერთად დაძლიეთ და მოიტოვეთ უკან, დედას გეფიცები, ახლა რომ მითხრა, კიდეც რამე დაუდგინდაო ან შენ მიქარე რამე, მართლა ვერ დავიჯერებ!

-არა, არა.. რეციდივის შანსები არისო, კი გვითხრეს, მაგრამ ღვთის მადლით ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია...ერთი თვეც არაა, რაც საკონტროლო კვლევები გაიკეთა ისევ, ყველაფერი აბსოლუტურად.. -ხელებს შლის..

- უჰ, მადლობა ღმერთს! ეს კარგია.

- კი.. ეს ნამდვილად კარგია.. მაგრამ.. მოკლედ, სხვა პრობლემაა..... არ ვიცი, არ ვიცი რა ვქნა.. ... არ ვიცი!! - თემო აღელვდება, თავში ხელებს წაიჭერს, ხმაში ცრემლი ერევა

- ჰეი, ჰეი, თემო, რა ხდება, ტო.. მიუჯდება ნიკა, ხელებს ჩამოაღებინებს, სახეს დაუჭერს

- დაწყნარდი, ძმაო.. დაწყნარდი, კაცი არა ხარ? ეს რა არი, ბიჯო!-აჰა, დალიე და მითხარი გასაგებად.. - თემო მოსვამს ვისკის, თავს ჩაქინდრავს და:

- მოკლედ, წამოვედი სახლიდან, ნიკ.. აღარ შემიძლია მეტი.. ადამიანი ვარ, მეც.

-ნიკა გაოგნებული უყურებს ჯერ, მერე ადგება, ბოლთას სცემს ოთახში, კეფას ისრესს, მერე ისევ წინ დაუჯდება, ახლა თვითონ მოსვამს ცოტას და დაბალი ხმით ეკითხება

-რა აღარ შეგიძლია, თემო? ვერ მივხვდი, კი, ვიცი, მთელი წელი საგიჟეთი გქონდათ შარშანწინ - ეს საშინელი დიაგნოზი, ოპერაცია, ქიმიკა, სხივები, წადი-წამოდი.. სულ საავადმყოფოები და ექიმები.. საშინელება იყო, დაილაღე, გაითანგე, გადაიწვი.. ვხედავდით, აქ არ ვიყავით ყველა? მაგრამ ხომ გაიარეთ ეს ყველაფერი უკვე და ახლა, როცა მთელი ორი წელია, ყველაფერი წესრიგშია, ყველა ანალიზი, ყველა მონაცემი, როცა ნატაც უკვე მშვიდადა, ყოჩაღადაა, ახლა რა არ შეგიძლია, ვერ გავიგე.. სახლიდან რატომ წამოხვედი, როდის?

-ახლა, ამ საღამოს.. უბრალოდ ავდექი და წამოვედი.. ბარგს მერე წამოვიღებ. ბინის ამბავსაც მოვაგვარებ მერე როგორმე.. მაგრამ წამოსვლით დღეს უნდა წამოვსულიყავი.. დედაჩემთან და ჩემს ძმასთან ვერ ავიდოდი, ტვინს გაბურღავდნენ ხომ იცი.. მარგუშას კიდევ ეს გულის წასვლები და ისტერიკები დაემართებოდა და არ მაქვს ახლა მაგათი ნერვები..

-ეგ ცხადია, რას მიხსნი, ბიჭო. კარგი ქენი, აქ რომ მოხვედი, აბა, რა უნდა გექნა, კი არა, დარჩი, რამდენი ხანიც გინდა, მაგიტომ ხომ არ გეკითხები, ტო.. რა მოხდა-თქო, რატომ წამოხვედი, იჩხუბეთ თუ რა ხდება, ნუ დამტანჯე ერთი, მოყევი, რა, ძმურად, წესიერად..

თემო ერთს ხანგრძლივად ამოისუნთქავს ლოყების ბერვით, თავს ჩაქინდრავს, ისევ და ისევ იქნევს

-რა მოხდა და სისულელე.. დაუჯერებელი რამ.. ცხოვრებაში რომ ვერ წარმოვიდგენდი და ლაპარაკიც რომ მიტყდება ამაზე..

- რა იყო, ბიჯო, ხომ არ უღალატე იმ გოგოს, არ გამაგიჟო ახლა და, კიდევ უარესი- ხომ არ გაიგო?

თემო ერთს ახედავს და თავს ჩაქინდრავს ისევ

ნიკა უახლოვდება, წინ უჯდება, ნიკაპს ისრესს..

-არ არსებობს.. რას ამბობ, ტო.. ეგ როგორ დაგემართა?? ნატას, ბიჭო? როგორ, ვისთან? როდის? რატო, თემო? რატომ, ტო??

თემო ჯერ ჩუმად ზის და მერე უცებ აენტება, აყვირდება:

- რატომ? რატომ? როგორ?? ჩვეულებრივად, როგორც ხდება ხოლმე- მომინდა ქალი! ჰოო, ჰო!! აი, საჭმელივით, წყალივით, ჰაერივით! მომინდა! აბა, ამასთან ჯერ არ შეიძლებოდა, მერე თვითონ არ შეეძლო, ხან ტკივილიო, ხან სისხლდენაო, ხან შიშიო, მერე შეხორცებებო, აღარ დამთავრდა, ამის დედაც.. გავიგე.. ყველაფერი გავიგე, ჩემს ტყავზე გადავიტანე ყველაფერი, ხომ იცი, მაგრამ ხომ უნდა დამთავრდეს, არა? ხომ არ უნდა გადაგვაციოლოს ყველა ამ თავის კიბოს! დავიღალე ძმაო, კაცი ვარ მე და ჯერ არც თუ ისე ბებრი, რომ აღარაფერი არ მინდოდეს ამ ქვეყანაზე, რა! ეს სიმშივიდევო, ეს მოფრთხილებაო, ეს ზრუნვაო, ასეთი საჭმელიო, ისეთი წამალიო.. გავიგე, ბატონო და ვაკეთე ყველაფერი, მაგრამ ახლა მთლად საჭურისი ვერ გავხდები, რა.. ბერივით ვერ ვიცხოვრებ! -- თემო ბლომად ისხამს ვისკის და ამ ჯერზე ერთიანად გადაკრავს

-ჰე, კარგი, კარგი, ხო.. დაწყნარდი, რა! - ნიკა ჭიქას ართმევს, გაწევს ვისკისაც, წყალს უსხმას, აწოდებს, თვითონაც ისხამს, სვამს, წინ წამოხრილი ჯდება სავარძელში, ხელებს აწვალავს, მერე მაგიდაზე დაჰკრავს და:

-კარგი! მიცხვდი პრობლემას. გავიგე. იმასაც მიცხვდი, რატომ გიჭირდა საუბრის დაწყება. ეს ძალიან ინტიმურია და ამაზე საუბარს ყველა ერიდება. ყველას უჭირს.. გასაგებია. იმისთვისაც ვართ მეგობრები, რომ თავისუფლად შეგვეძლოს ერთმანეთს ველაპარაკოთ იმაზე, რაც გვაწუხებს და გვტკივა. ამიტომ, არ გინდა ახლა სცენები ჩემთან და თავის მართლებები, რა, მესმის შენი.. და ვინ ვარ რომ გაგამტყუნო ან გააგამრთლო.. თუ მოხვედი, ძმაო, ჩემთან.. არ გინდა არაფრის ახსნა, გავიგე, რატომ უღალატე.. გავიგე, მაგრამ არ გამართლებ.. უბრალოდ გამაგებინე, როგორ გაიგო ნატამ ამის შესახებ? და ვისთან უღალატე, ჩვეულებრივ კახპასთან თუ გაიჩინე, ბიჭო, ვინმე??

თემო ჯერ ჩუმადაა, მერე სახეზე იფარებს ხელებს, მერე ისევ მოწყვეტით აგდებს, თავს გადაწევს

-მე ვუთხარი.. აზრი აღარ ჰქონდა დამალვას და არც მაგისი საცოდაობის ყურების თავი აღარ მქონდა - ათასი მალამო და რაღაც იდიოტური საშუალებები ყოფილა შეხორცებების დროს .. მაგრამ ამას ვერ დაეხმარა, რა ვიცი.. ნუ, გვიან დაიწყო, როგორც ჩანს - თავის დროზე მოგვერიდა კითხვა, რა დროს ეგ იყო თან, ექიმებმაც არ აუხსნეს დეტალები, აქ მთელი ამბები ყოფილა პრევენციისთვის, ფუნქციის რაღაცნაირად შენარჩუნებისთვის და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ პლასტიკური ოპერაციის მეტი არაფერი უშველისო და ეგეც არაა ეგრე ადვილი გადასაწყვეტი. ეს კი ოპერაციის ამბებს არკვევდა თურქეთში თურმე და, გაგიჟდა ის ექიმი, ჯერ როგორ შეიძლებაო, და არ დამირეკა ამასწინ?? მე ცალკე გავგიჟდი, არაფერი მსგავსი მე არ მითხოვია-თქო და ეტყობა, აგრძნობინეთ, რომ არასრულყოფილი ქალიაო და კაროჩე, დამიწყო იქ ჭკუა-დარიგება და ნერვებ-ათხრილი მივედი სახლში, ცოტა ნასვამიც ვიყავი, მეთქი, გოგო, რეებს ეუბნები ჩემზე შენს ექიმებს და კიდევ ვისთან ჭორაობ და ვისი რა საქმეა ჩვენი ლოგინის ამბები-მეთქი, და ქალი თუ მინდა, ქალების მეტი რაა, ახლავე შემეძლია ათი

ერთად ვიშოვო-თქო და ასეთი სისულეები, ხო აზრზე ხარ... მოკლედ, ავვარდი რა, ძალიან

- როდის იყო ეგა, რა გითხრა მერე?

- ეგ ერთი კვირის წინ.. რას მეტყოდა, არ იცნობ? მაგისი კეთილშობილება აუტანელია რა, უკვე. უკანასკნელ ნაძირალად გაგრძნობინებს თავს თავისი მიტევებებით და გაგებებით.. მე მინდა, ისევ შეგვეძლოსო ერთად ყოფნა, რომ სხვა ქალეში არ მოგიწიოს სიარულიო და ვცდილობ, რაც შემძლია და რაც არის დღეს მედიცინაში ამისთვის საშუალებებიო და, რადგან არ ყოფილა საშველი, როგორ დაგავალდებულო, იჯდე და ელოდო, როდის რა გამოვა, ან საერთოდ გამოვა თუ არა რამე, ვინ იცის, ამ სხივებმა ძალიან გააფუჭაო საქმეო.. ვერც მეორე შვილს გაგიჩენო და ვერც ცოლობას გაგიწევ, ასე გამოდისო და არ გაგამტყუნებ, თუ სხვასთან წახვალო..

ნიკა ადგა, ჯერ ფანჯარასთან მივიდა, მერე საწერ მაგიდასთან, უჯრა გამოაღო, მოაფათურა ხელი, სიგარეტი ამოიღო, ისევ მივიდა ფანჯარასთან მოუკიდა, გააბოლა..

-რას აკეთებ, ნიკ. არ გადააგდე, ბიჭო, სიგარეტი? თუ გვატყუებდი?

-რა მოსატყუებელია. გადავაგდე, მომინდა უბრალოდ. ეს 1 ყუთი მეგდო, ბოლო, და გამომადგა აგერ. შენ ის მითხარი, ერთი კვირის წინ თუ ეგ ბაზარი იყო, ამის მერე წახვედი სხვა ქალთან მართლა, უღალატე და დღეს ჩაუკაკლე, თუ რა მოხდა?

თემო ჯდება, წინ და უკან იხრება, პასუხს აყოვნებს ჯერ, მერე მოსვამს ისევ ვისკის

-ბიჭო, ხომ იცი, თავიდან რა დღეში ვიყავი.. ქალი კი არა, ჭამა არ მახსენდებოდა ხანდახან. მაგრამ, მერე, რომ გამოვძვერით, ყველაფერს მოვრჩით, ბოლო პასუხები რომ მოვიდა უკვე დაზუსტებით, რომ ყველგან ყველაფერი ალაგებულია, რადაცნაირად მოვეშვი, რა, ამოვისუნთქე მეც და ხო გახსოვს, დედამისი რომ იყო მაშინ ჩვენთან და უვლიდა და გვეხმარებოდა, წავედი რა მაშინ მეც რამდენიმე დღით დასასვენებლად. თვითონ გამაგდეს, ძალიან გაწვალდიო და ცოტა ამოისუნთქეო..

-და შენც წახვედი, შეხვედი მომხიზვლელ, ჯანსად, მხიარულ, საინტერესო ქალს, რაც ასე გაკლდა მთელი წელი და გადაეშვი ვნებისა და სიამოვნების მორევში..

- იცოდი? საიდან იცოდი? ვინ გითხრა?

- რა ვიცოდი, თემო? გაგიჟდი? აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ამ ყველაფრის მერე წახვიდოდი და ნატას უღალატებდი.. მივხვედი უბრალოდ, რომ ყვებოდი, რაც მოხდა.. ფრაზა დავასრულე, უბრალოდ..

თემო შფოთავს, დადის ოთახში, მერე ისევ თავის მართლებას იწყებს

- ჰო. სწორად მიხვდი, მაგრამ ისე მელაპარაკები, რომ ვხედავ, მამტყუნებ და ბრაზობ ჩემზე.. და ეგ მაგიჯებს ზუსტად.. ჰო, მაკლდა, ძმაო. მთელი წელი ტირილი, კვნესა, სირბილი, შოვნა, ბავშვი, სიდედრი.. ქანცი გამწყდა, ძმაო.. მეც მჭირდებოდა სიმშვიდე და ზრუნვა.. ხალისი, სილაღე, ბედნიერება, ღიმილი, გართობა, ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს! ნორმალური ცხოვრება მაკლდა. შენ რა გგონია, რამე სერიოზულ ურთიერთობას ვაპირებდი? ერთი გავილაღე რა, თან მოვუყევი ჩემი ისტორია და ძალიან მითანაგრძნო, ძალიან შეწუხდა.. უპრობლემოდ დავშორდით იმ 4 დღიანი რომანის შემდეგ.. მაგრამ.. ალაგ-ალაგ ჩნდებოდა, რა, მილაიქებდა რაღაცეებს ფბ-ზე და მომენატრა მერე რაღაცნაირად, მომინდა მისი ნახვა, დავურეკე, შევხვდი.. ერთხელ, მეორედ- უბრალოდ ვილაპარაკეთ, გავისეირნეთ, კინოში წავედით, ბევრი საერთო ინტერესი აღმოგვაჩნდა.. მერე თვითონ დამირეკა, რაღაც საინტერესო პროექტია და ვფიქრობ საშენაო.. ამდენი ხარჯის მერე რომ გამიჭირდა და ვეძებდი დამატებით საქმეს, ნათქვამი მქონდა.. გეფიცები, არაფერი, ძმაო, ძალიან საქმიანი ურთიერთობა დავიწყეთ, არ იქნებო სწორი ჩვენი რომანის გაგრძელებაო, თვითონაც ამბობდა, თან სულ 3 თვიანი კონტრაქტი მქონდა..

- და მერე ამ პროექტს სხვა დაემატა და უკვე საქმიანი ურთიერთობა უფრო ახლო ურთიერთობაში გადაიზარდა, ხომ ასეა?

- ვანგა ხარ, შე კაცო, თუ იცოდი ყველაფერი ვინმესგან და არ მეუბნებოდი?

- რომ მცოდნოდა, თავიდანვე მოგინაყავდი შენც ცხვირ-პირს და იმ ქალბატონსაც ვასწავლიდი ჭკუას! ანუ, გამოდის, ვანგა ვარ!

თემო გამრება, ამას არ ელოდა. ჯერ იბნევა, მერე ისევ აენტება

- ამომინაყავდი? რისთვის? ადამიანთან მეგობრობა და პარტნიორობა რომ დავიწყე? აკრძალულია? ან იმას რისთვის ასწავლიდი ჭკუას, მშვენიერი ჭკვიანი, საქმიანი, მშვიდი, თბილი, მზრუნველი ქალია, ვიღაცა იაფფასიანი კახპა კი არაა!

-ნეტა ყოფილიყო..

-რა?

-ნეტა იაფფასიანი კახპა ყოფილიყო-თქო.. გაივლიდი, დაიკმაყოფილებდი შენს მონატრებულ ცხოველურ მოთხოვნილებებს და მეორე დღეს იქნებ არც გაგხსენებოდა.. ასე კი, ღირსეული ქალბატონის ნიღაბს ამოფარებულ მონადირესთან გვაქვს საქმე და ეს უკვე სერიოზული ამბავია..

-მონადირე? ნიღაბს? კი მაგრამ, შენ მას არც იცნობ, არც გინახავს, რა უფლებით ლაპარაკობ ასე?

- არც მჭირდება მისი გაცნობა. ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელია. გაიცნო კაცი, მოეწონა, მისი გასაჭირითა და დარდით ისარგებლა, დაამშვიდა, მოეფერა, მერე ნელ-ნელა საქმე-საქმეში დაიახლოვა, მიიჩვია და ახლა მადლიერიც უნდა ვიყოთ თურმე მისი! ვიცნობ ასეთ „ღირსეულ“ ცბიერ და ჩუმჩუმელა ქალებს!

-ნიკა, მე ვიცი, შენ როგორ გიყვარს ნატა, როგორ პატივს სცემ, მისი ავადმყოფობის დროს შენი ზედ გადაყოლაც არასდროს დამავიწყდება და არ მიკვირს, ლიკას მიმართ ასეთი სუბიექტური და მკაცრი რომ ხარ, მაგრამ..

-ახ. ლიკა.. ესე იგი ლიკა ჰქვია ამ ფერიას, ჩვენი ნატანჯი თემო რომ შეიფარა, გაათბო, დახმარების და თანაგრძნობის ხელი რომ გაუწოდა, თან ისე, რომ ვეღარ უშვებს..

-იცი რა, მე იმიტომ მოვედი შენთან, რომ შენი დახმარება მჭირდება. შენ თუ ასე აპირებ ჩემთან საუბრას, მაშინ წავალ.. ლიკასთან წავალ.. სხვაგან წასასვლელი მაინც არ მაქვს.. მასთან სწორედ იმიტომ არ მივედი, რომ მიინდა, კარგად გავერკვე ყველაფერში და სწორი გადაწყვეტილება მივიღო.. ისედაც ძალიან არეული და გაორებული ვარ, ნიკა!. ერთის მხრივ, ნატასთან იცი, რამდენი მაკავშირებს და როგორ მიყვარს! შენ მაინც ხომ იცი, რა დაბრკოლებების გავლისა და დიდი გრძნობის საფუძველზე შეიქმნა ჩვენი ოჯახი, იცი როგორ ვაფანატებ ჩემს თიკუნაზე.. მაგრამ, მეორეს მხრივ, ლიკასთან ისე მშვიდად, კომფორტულად ვარ, ისე ვისვენებ, იმდენი საერთო გვაქვს, სექსი გვაქვს, ბოლოს და ბოლოს, რაც მე ასე მჭირდება და შენ მშვენივრად იცი, რომ მეზიზღება ბოზებთან სექსი, ამისთვის ის ქალი მჭირდება, ვინც მსიამოვნებს და ვისთანაც რაიმე მაინც მაკავშირებს.. მოკლედ, რაც არ უნდა მლანძღო მე თუ ლიკა, ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ერთმანეთი რაღაცნაირად შეგვიყვარდა და უკვე ძალიან ხშირად ვართ ერთად.. მე არ შემეძლო მეტი ნატას მოტყუება. ისედაც, ხვდებოდა, ალბათ.. ბოლო დროს გაღიზიანებულს და დაღლილს ვერ გხედავო, მშვენიერ ხასიათზე ხარ, ეს ალბათ, ახალი პროექტების დამსახურებააო, მეუბნებოდა და თან ყოველდღე ამ წამლების და ექიმების ძებნა-კონსულტაციებში იყო, მერე ეს თურქეთი და პლასტიკური ოპერაცია მოათრია საიდანღაც.. აი, რა უნდა მექნა? როდემდე მეყურებინა, როგორ ცოდვილობს, რომ შეძლოს ისევ გამიწიოს ცოლობა? ეს ვეღარასდროს გამოვა, ვეღარასდროს იქნება ყველაფერი ისევ ისე, როგორც იყო.. ეს ყველაფერი ტყუილი იქნება, ფარსი.. და ისედაც, რატომ უნდა წავიდეს რისკზე, თუ არ არის სასურველი ეს სულელური ოპერაცია.. ან რაღა აზრი აქვს? ვატყუებდი მთელი წელი ისედაც, ვღალატობდი და როდემდე უნდა გამეგრძელებინა. მკითხა და ვუპასუხე.. ვუთხარი რომ სხვა ქალი გავიცანი, რომ მასთან თავს კარგად ვგრძნობ და რომ ჩემი დაკმაყოფილების გამო არ არის ვალდებული, იკეთოს იდიოტური პროცედურები თუ ოპერაციები.. ეს საშინელებაა, ეს დამამცირებელია!

- დაჯექი, თემო. დამშვიდდი. სწორად მოიქეცი, რომ მოხვედი და ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ. მისმინე, რა უთხარი, ვერ გავიგე.. უთხარი რომ სხვა ქალთან გაქვს სექსი თუ ის, რომ სხვა ქალი შეგიყვარდა?

- არა, არცერთი.. ასე არ დამიზუსტებია. ეს.. ეს ხომ მხოლოდ სექსი არ არის სინამდვილეში.. არც ის ვიცი, სიყვარულია თუ არა.. მე ის ვუთხარი, რაც სიმართლეა, რასაც ვგრძნობ.. მე ვუთხარი, რომ სხვა ქალთან მაქვს ურთიერთობა, რომ კარგად ვარ მასთან და ჩემ გამო არ უნდა ინერვიულოს, ჩემ გამო არ უნდა იკეთოს სარისკო ოპერაციები. მე მხოლოდ ეს ვუთხარი..

- მერე? რა გითხრა? სახლიდან წადიო?

- ნეტა ეგ ეთქვა! ნეტა ეტირა, ეჩხუბა, ეყვირა.. რა ვიცი.. რამე ექნა! აი, ასე, ადგა, მოვიდა, ჯერ სახე ხელებით დამიჭირა, შემომხედა, შუბლზე მაკოცა პატარა ბავშვივით, დიდი მადლობაო ყველაფრისთვისო, მესმისო შენი, არ გამტყუნებო და გავიდა.

- და შენც, ადექი და წამოხვედი..

-არა, არაა, ეგრევე არა. ვერც წამოვდოდი, ისე ცუდად გამხადა მისმა ქცევამ.. თან სულ რომ დამნაშავედ და გარეწრად გამოყავხარ.. მივყევი, მინდოდა დავლაპარაკებოდი ადამიანურად, ამეხსნა, რომ მიყვარს, პატივს ვცემ, რომ მისი და შვილის მიტოვებას არ ვაპირებ, უბრალოდ ქალის გარეშე არ შემიძლია და ამიტომ გავიჩნე სხვა, რომ ის სხვა მხოლოდ ქალია, შენ კი - ჩემი ცოლი, შვილის დედა, ჩემი პირველი და დიდი სიყვარული თქო, მაგრამ.. შევიდა საძინებელში და კარი გამოკეტა. ვუკაკუნე, გამიღე, დავილაპარაკოთ მეთქი და ჯერ არც მიპასუხობდა, მოვკვდი ნერვიულობით, რამე ხომ არ მოიწია-მეთქო და რომ ვუყვირე, თუ არ მიღებ, მიპასუხე- მაინც, რომ ვიცოდე, კარგად ხარ-თქო, მხოლოდ მაშინ მიპასუხა, ჩემზე არ იდარდო, თემო, შენ იყავი ბედნიერიო და მორჩა..

რა მექნა, კარს ხომ არ ჩამოვუღებდი, ისედაც გამოვიდა ყვირილზე თიკუნაც და ჩემი სიდედრიც თავიანთი ოთახიდან. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, დაიძინეთ, ყველაფერი წესრიგშია და მე მივლინებაში მომიწია წასვლამ მეთქი და ნატას მიხედეთ- თქო- სიდედრს, თიკუნას, რა ჩამოგიტანო, მამიკო - მეთქი, ვაკოცე და წამოვედი..

- რაო, მერე?

- მერე შენ დაგირეკე და მოვედი აგერ..

- არა, თიკუნამ, რაო, რა ჩამომიტანეო - აცდენილი მზერით და ჩაფიქრებული სახით

- ჰმ, თიკუნამ - ჯადოსნური სარკეო..- ელიმება თემოს, მერე ისევ სახეს ისრესს, თავში ხელებს წაიჭერს და თავგადაკიდებული ჯდება სავარძელზე

- ჯადოსნური სარკეო? რატომ?

- ბავშვია, ზღაპრებს უსმენს და უყურებს სულ. დედამისი რომ ენატრებოდა და ვერ ხედავდა, სულ ამბობდა, ჯადოსნური სარკე რომ მქონდეს, ჩავიხედავდი და დავინახავი, სად არის და რას აკეთებსო.. ყველას უნდა ჰქონდეს ჯადოსნური სარკე, რომ ჩაიხედონ და ნახონ, ვინც ენატრებათ, როგორ არიან, სად არიანო..

-ჰოოო, ეგ რთული ამბავია.. ყველამ რომ ყველაფერი იცოდეს თავის საყვარელ ადამიანზე, სად არის, როგორ არის, რას აკეთებს, ალბათ, ბევრისთვის ის ადამიანი საყვარელი აღარ იქნება..

-გეყო, ნიკო, რაა. შენ მამტყუნებ, გატყობ, არ მოგწონს ჩემი საქციელი, არც მე ვარ დიდად კმაყოფილი იმით, რაც მოხდა, მაგრამ ეს მოხდა, ფაქტია და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.. მერწმუნე და ახლა მართლა მჭირდება შენი დახმარება..

-ასე, ყველაფერს შეიძლება მიზეზიც მოეძებნოს, საბაზიც, ახსნაც, გამართლებაც, ყველას აქვს თავისი სიმართლე.. სწორედ ამაშია უბედურებაც... რით დაგეხმარო? რჩევა გჭირდება? გიკარნახო, რომელი ქალი აირჩიო, ნატა თუ ლიკა, როცა თავად იმას ამბობ, ნატა კი მიყვარს, მაგრამ ლიკასთან ვარ ლალი და ბედნიერიო? მაშინ შენ ქალს კი არა, მდგომარეობას ირჩევ - იტანჯო, იწვალო, გეტკინოს თუ - ამოისუნთქო, გათავისუფლდე, იხარო..

- ჰო, მაგრამ ეგ მდგომარეობები ხომ სწორედ კონკრეტულ ქალებთანაა შეჭიდული? რა განსხვავებაა, რას ვირჩევ - მდგომარეობას თუ ქალს?

-დიდი! უდიდესი განსხვავებაა, ჩემო თემო და თუ შენ ეს არ გესმის, მაშინ არც ღირს, ალბათ, მსჯელობა და ლიკასთან წადი.. დაემშვიდობე ნატას, წამოიღე შენი ნივთები და წადი ლიკასთან

- ეს არაა რჩევა. ეს ისევ გაკიცხვაა.. მე ამისთვის არ მოვსულვარ შენთან, ნიკა, რა!

- თემო, გიხსნი, დიდი განსხვავებაა მეთქი, შენ ნატას გაურბიხარ და ლიკასთან გიწევს გული, თუ, პრობლემებსა და დისკომფორტს სიმშვიდე და კომფორტი გირჩევნია. თუ ნატა გიყვარს, მის გარეშე გაგიჭირდება. მოგენატრება, მოგწყურდება, მოგშივდება, გეტკინება .. ოო, როგორ გეტკინება, იცი?? ოღონდ ფიზიკურად კი არა, შიგნით, აი აქ, აქ (გულსა და შუბლზე ადებს ხელს) და აქ (კუჭთან უტრიალებს თითს). აი ეს, ყველაზე საზარელი მონატრებაა, შიგნიდან რომ გჭამს და გგონია ახლა მთელი შიგანი ამოგიბრუნდება.. ეს საკუთარი ხორცის, საკუთარი სული ნაწილის უკმარისობის განცდაა, ფანტომური ტკივილია და გამთლიანებას მოგთხოვს აუცილებლად.. მაგრამ, თუ ლიკა გიყვარს, მაშინ.. მაშინ ნატასთან ვალდებულების და სიბრაღის გამო მყოფი, იმ გრძნობასაც საბოლოოდ დაამსხვრევ, რაც ჯერ კიდევ შემოგრჩა და მაშინ

სჯობს, დაშორდე! სიმდაბლეთა, სისასტიკეთა, არაკაცობათა ახლა მისი მიტოვება, მაგრამ, სჯობს, ზუსტად აუხსნა რა და რატომ და, დაშორდე!.

-არ ვიცი, არ ვიცი, ნიკა.. მეც ვიფიქრე თავიდან ასე, მაგრამ წინასწარ ხომ არ ვიცი, რა იქნება, ვის გარეშე მექნება ეგ საშინელი უკმარისობის და განახევრების განცდა. რომ მეგონა, მთელი არსებით მინდოდა ლიკასთან საბოლოოდ შეერთება, ნატასგან წამოსვლა, დღეს, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა მაკოცა, გავიდა და კარი ჩაკეტა, რითაც კი არ გამებუტა, უბრალოდ მაგრძნობინა, რომ ამ კარს მიღმა ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, ვიგრძენი, რომ ვიხრჩობოდი, რომ ამას ვერ გავუძლებდი.. მეგონა, კარს თუ არ გამიღებდა, კიდევ ერთხელ თუ არ ვნახავდი, მოვკვდებოდი. ამიტომ ავირიე ძალიან და ამიტომ არ წავედი ლიკასთან.. უნდა გავერკვე, რაა.. უნდა გადავწყვიტო.. ნატასთან რაც ხდება, ეს ყველაფერი გრძნობათა, მიჩვევაა, იმდენი რამ მაკავშირებს მასთან, ისე ვართ შეხორცებული ბავშვობიდან, რომ ბუნებრივია, მიჭირს ასე.. მაგრამ, გონებით რომ განვსაზღვროთ, აი, სადად რომ ვიმსჯელოთ, შენი არ იყოს, დავუშვათ დავბრუნდი, დავუშვათ უარი ვთქვი ამ მშვენიერ ქალზე, ახალ საქმეებზე, მშვენიერ პერსპექტივაზე.. როდემდე გავძლებ ასე, როდემდე შევძლებ ვიცხოვრო მხოლოდ ნატას კვლევებით, წამლებით, ექიმებით, ბავშვის აქეთ-იქეთ ტარებით, საჭირო შემოსავლისთვის არჩეული სამსახურით და არა იმ სამუშაოთი, რაც მსიამოვნებს, ვიცი, მიყვარს, გამომდის... ან, ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება, 40 წლის ასაკში კაცი მონაზონივით ცხოვრობდეს, ეს ხომ წარმოუდგენელია, როდესმე ხომ მაინც ვუღალატებ, მაინც ხომ მოხდება ეს სადმე, ვინმესთან, რომელიმე სიტუაციაში.. სიგიჟეთა..აი, სიბრყველათა უბრალოდ, ასეთ ვითარებაში ლიკაზე უარის თქმა.. მაგრამ, ნატას ასე მიგდება, ასე მოსროლავ.. აუ, არ შემიძლია ასეც.. ღმერთო, რა დავაშავე, რატომ, რატომ ასე, რატომ.. (შუბლს ისრესს)

-რა დააშავე? გითხრა, რადგან მეკითხები? ის, რომ ლიკა შემოუშვი შენს ცხოვრებაში, თავს მასთან ურთიერთობის უფლება მიეცი, თანდათან კიდევ უფრო გააღრმავე და გაამყარე ეს ურთიერთობა, არაფერი გაკეთე იმისთვის, რომ ამ უცხო ქალს არ მოშინაურებოდი, არ შეჩვეოდი, ნატას არ გადაჩვეოდი და გაუცხოებოდი. იმის ნებისყოფა არ გეყო, შენი ცხოვრებისეული პრობლემებით გადაღლილს, პირველივე შემხვედრი ქალის შემოთავაზებულ მოსვენება- მოფერებაზე გეთქვა უარი! ეს დააშავე... ამას ჰქვია ერთგულება და სიყვარული. რაც შენ გააკეთე, სისუსტის წუთი კი არა, ღალატია, გააზრებული ღალატი, უფრო სასარგებლოს და სასიამოვნოს არჩევანი, გადაწყვეტილება და არა სიყვარული და თუნდაც ვნება!!... აი, გეკითხები, არაფერი რომ არ მოსვლოდა ნატას, ჩვეულებრივ რომ გაგრძელებულიყო თქვენი ბედნიერი, ტკბილი, იდილიური ყოფა, ასე რომ არ გადაღლილიყავ-გამოწურულიყავი ლიმონივით და არც ლოგინის ამბები აგრეოდათ ნატას საბედისწერო ავად გახდომის გამო, მაშინ მიაქცევდი ლიკას ყურადღებას, ჩავარდებოდი მის „მზრუნველ“ მკლავებში? თუ აბეზარ და ქვემ-ქვემა ქალს ამოიცნობდი მასში მაშინვე? მიატოვებდი

მაშინ შენს ჭკვიან, მხიარულ, ენერგიულ, ერთგულ, შენში უგონოდ შეყვარებულ ნატუსიას? ან შენ რომ იგივე მოგსვლოდა, სამუდამოდ დარჩენილიყავი ავადმყოფი და ინვალიდი, ნატა შენზე ზრუნვას მიუძღვნიდა დარჩენილ ცხოვრებას თუ ერთ წელიწადში გამოგიცხადებდა, მეყო, რაც ვიწვალე შენ გამო და სხვას უნდა გავყვე ახლა, რადგან ქალი ვარ და ბედნიერება და სრულყოფილი სიყვარული მჭირდებაო? გიფიქრია ამაზე?

თემო შეშფოთებული სახით შეხედავს ნიკას, კუთხეში მომწყვდეულივით უმწეო პასუხს ცდილობს და ვერ სცემს, ჯდება მოწყვეტით, თავს ხელებში რგავს და ჩუმდება.

ნიკა ერთხანს თვალმოუშორებლად უყურებს ნიკას, მერე დგება, მხარზე უტყაპუნებს ხელს

-როცა საყვარელი ქალის გულისთვის მზად არ ხარ არათუ საქმე და კეთილდღეობა, არამედ სიცოცხლეც კი დათმო, ესე იგი ეს ქალი არ გყვარებია, ჩემო თემო.. ყოველ შემთხვევაში, ნატაზე მეტად საკუთარი თავი გიყვარს შენ.. ლიკა გიყვარს თუ არა, არ ვიცი, მგონია, უფრო მოგწონს, გჭირდება, გაკმაყოფილებს... და რა არის ცხოვრებაში მთავარი, გიყვარდეს თუ კარგად იყო, ეს ყველამ თავისთვის უნდა გადაწყვიტოს. დავიძინოთ ახლა, ძალიან მძიმე დღე გქონდა შენ და მეც არანაკლები საღამო გამომივიდა. (აწვეს, პლედს აფარებს) დავიძინოთ და დილით უფრო სადი გონებით და ჭემმარიტი გრძნობის კარნახით გადავწვიტოთ, ეგებ, შენი ამბავი, ჩემო თემო..

დაბნელება, სიჩუმე, შიგადაშიგ თემოს შფოთვა და რიჟრაჟი..

3.

დილაუთენია ტელეფონის ზარი..

თემო იშმუშნება, ეღვიძება, ნიკა პასუხობს:

-ჰო, ლავჩიკ. გაუმარჯოს. არაა, არ ჩამოვალ, ვერ ჩამოვალ.. სხვა დროს გავიდეთ, რა. თემოა ჩემთან და..

-ჰო, რა ვიცი - გადახედავს თემოს (ამოსვლა უნდა) -თემოს თანხმობის შესტი - მხრებს იჩეჩავს, თავს ხრის

ლავჩიკა (ახალგაზრდულ, მოდურ, ცოტა ექსტრავაგანტულ სამოსში) ამოდის. კარგ ხასიათზეა, კარებიდანვე ესალმება,

- ჰაი, ძმებო!!

მაგრამ რომ შემოვა და დახედავს, შეფერხდება

-რა ამბებია, რა გჭირთ? მოხდა რამე? -დაჯე, ნიკა გადის, ყავას ადუღებს, ლავჩიკა თემოს ათვალერებს.

ნიკას ყავა შემოაქვს, უდგამს თემოს, ლავჩიკას

-უჰ, გაიხარე. დილით ისე გამოვედი, არ დამილევია, გზაში ვაპირებდი - მოწრუპავს

-ჰე, მოყვით ახლა, რა ხდება - ნიკა ხმას არ იღებს, თემოს შეხედავს

-ნატასგან წამოვედი

ლავჩიკა მოულოდნელობისგან ჯერ პირს იწვავს ლამის და უცებ ახეთქებს ჭიქას, ცოტა ექცევა, იფერთხავს, სახელოს, სწორდება, მშვიდდება და ხან თემოს უყურებს, ხან ნიკას

- რა იყო, სიდედრმა გაგაგიჟა?
- არა კაცო.. საიდან მოიტანე..
- რა ვიცი, დიდად არ ეხატებოდი, მახსოვს, გულზე და, კარგა ხანს ატერორებდა ნატას, მაგ ჯღაბნია არქიტექტორს არ გაჰყვეო

-უჰ, ეგ ადრე იყო. რომ მოვიყვანე მერე, ზედ მყვებოდა სულ.. დამასუქა ხაჭაპურებით)). არა კაცო, ნუნუ არა..

- აბა, რა ამბავი, ჰე, მოყვით ახლა, თუ ყვები, თუ არ გინდა თქმა, დავლევ აგერ ყავას და გავალ, მე ძმებო, არ შეგიშლით ხელს

თემოს ეღიმება. მერე ნიკასაც

-ამან ხომ მომკლა)) ეს ისევ ახალია? - კეზზე ჩამოკრავს ხელს.

-დიახ. ესეც და შარფიც..

-მაგარია.

-კი, მაგარია..

- გაფიცებ, რამდენი შარფი და ქუდი გაქვს?

- უჰ, რა ვიცი, 100 ზე მეტი-ნაღდად..

თემოს ჯერ ეღიმება, მერე ღრმად ჩაისუნთქავს, ამოისუნთქავს და თავს იქნევს ისევ

-აი, შენ თანამედროვე, პრაგმატული კაცი ხარ. მითხარი, როგორ მოვიქცე, თუ ჩემს გაჭირვებულ და გაუბედურებულ ცხოვრებაში უცებ გამოჩნდება ლამაზი, ჭკვიანი, აქტიური, ვნებიანი ქალი, თითქმის ჩემი პროფესიის, და სიყვარულსაც შემომთავაზებს და საინტერესო საქმესაც.. კარგი პერსპექტივით.. პროექტები, კონკურსები, გამოფენები - მოკლედ, ყველაფერი, რაზეც ვოცნებობდი..

-ვაა, მაგარია. ეგეთი რამეები არ ხდება ოღონდ ცხოვრებაში))

-დავუშვათ, მოხდა? რა გავაკეთო? მივაფურთხო ყველაფერს - ძველ ცხოვრებას, ოჯახს, სამსახურს და ეს შანსი გამოვიყენო, ბოლოს და ბოლოს ვეწიო ნორმალურ ცხოვრებას, საჩემო წრეს, საზოგადოებას, საქმეს, ქალს თუ.. დავრჩე ჩემი ნატუსიას ერთგული, მშრომელი, საოჯახო-სამეურნეო საქმეებზე მორბენალი ქმარი ნულოვანი პერსპექტივით?

ლავჩიკა ცოტა გაკვირვებული უყურებს. ყავას ბოლომდე დალევს, ვისკისაც ისხამს, მოკეცილ ფეხს მეორე ფეხის მუხლზე იდებს, ისევ უყურებს თემოს:

-არ მჯერა, რომ გისმენ, თემო. ეს შენა ხარ? აქამდე სულ მართლა ოჯახურ ამბებში მახსოვხარ, ჯერ ბავშვი, ბაღი, მერე ნატას ამბები, სულ გადარბენა, სულ რაღაცა საქმე.. და უცებ, შენისთანა მეოჯახე კაცი სხვა ქალზე და სხვა ცხოვრებაზე იწყებს საუბარს? აქ რაღაც ისე არ არიის.. ნატას მიტოვება როგორ მოგივიდა აზრად, თქვენი გიჟური სიყვარული რომ მახსენდება და მთელი ისტორიები..

-ჰოდა, აი, მაგიტომ ვზივარ აქ.. თან მიჭრს მაგრად, და თან ვუღალატე უკვე, სხვა ქალთან დავიწყე ურთიერთობა და მოკლედ, ვარ ასე, ორ ცეცხლს შუა..

-მერე, გამო, რა, რატომ დგახარ ამ ორ ცეცხლს შუა, გოჭი ხარ, შეიბრაწო? რატომ გევასებათ ეს დრამის შექმნა, ბიჭო.. ნატა სულ სხვაა, რა, შენი ნატუსიაა, შენი თიკუნას დედა და რამე, და გყავდეს ეგ ოჯახი, შენ თუ არ მიაგდე, ვინ წაგართმევს, რო? თან ის ქალიც გყავდეს, რადგან გსიამოვნებს და თან გჭირდება კიდევ შენი საქმეებისთვის, რას გაიგებს ნატა სად და ვისთან დადიხარ შენ და იცხოვრე, რა გემრიელად, რას იკლავ თავს, ამიტომ ზიხართ აქ ეგრე ჩაფიქრებულები და დაგრუზულები?-იცინის..

ნიკა ხმას არ იღებს, თავს იქნევს შიგა და შიგ..

-არ გამოვა ეგრე, ჩემო ლავჩიკ. იცის უკვე ნატამ

-ვაა-წარბებს წევს- იცის? საიდან? ვინ ჩაუკაკლა! ეე, რა მეტიჩარაა ეს ხალხი, კაცო..

- მე ჩავუკაკლე!

ლავჩიკა ჯერ გაკვირვებისგან პირს აღებს, მერე ხურავს და იპრიწება, ხან ერთს გადახედავს, ხან მეორეს, მოსვამს და

-ჰმ.. ნუ ი დურაკ! გამომივიდა აქ ...

-აბა, რა მექნა? შენი აზრით, სჯობს ტყუილი და ფარისევლობა სჯობს? მთელი წელი ვიცხოვრე ეგრე და აღარ შემეძლო, გული მერევა ასეთ რამეებზე.

-რატომ? თუ აღარ ატყუებ, რომ უღალატე, გგონია, აღარ უღალატე? ან ნაკლებად უღალატე?

-ნუ, ჩემს თავთან მაინც უფრო მართალი ვიქნები ასე..

-შეიძლება. არ ვიცი. თუ უკვე გითქვამს და წამოსულხარ, რაღას ბჭობთ, ვერ მივხვდი, გადაგიწყვეტია მაშინ და რაც მთავარია, მართალიც ხარ შენს თავთან. წადი ახლა იმ შენს საყვარელთან და დატკბი ცხოვრებით. ნატუსიას მიტოვება, თან ამ ყველაფრის მერე, ვერაა კარგი ამბავი, მაგრამ.. ფაქტი მომხდრია და ახლა, მოიკვეთე წარსული, თორემ წინ ვერ წახვალ. ამისთვის გადაგვადებინე საქმეზე წასვლა მე და ამ კაცს დღეს?

-ვაჰ, რა ტიპი ხარ შენ, ლავჩიკ. არ იცვლები, რა.. ეგრე ადვილია?

-ნუუ, თუ არ არის ადვილი, იჯექი და იმკითხავე. როდემდე? შანსი მოგეცა, ძმაო?

პროექტებო, კონკურსებო, გამოფენებო, საქმე და შემოსავალიო, წარმატებაო, სახელიო და ზემოდან კიდევ დამატებით კარგი ქალიც? გამოიყენე, რა! რახან შეტოპე, მიდი ეხლა, შედი ბარემ ღრმად და გაცურე..

-და ნატა? ასე შეიძლება ადამიანის მოსროლა? ძველი ტანსაცმელი ხომ არაა. ან თავს რამე არ აუტეხოს, რა ვიცი..

-ვაა, ისევ თავიდან იწყებ, თუ რა ხდება? მოიცა, რა .. რა უნდა აუტეხოს, ქალი კიბოს გადაურჩა და ახლა შენი წასვლის გამო მოიკლავს თავს.. თან შვილი ჰყავს.. შვილი ყველაფერს ატანიებს ქალებს, ხომ იცი. თან ნატასნაირ ქალებს!

ლავჩიკა ნიკას მზერას გადაეყრება და სერიოზული, დაბალი ხმით ამბობს:

- არა, ახლა ისე კი არ გაიგო, მიხარია ეს ამბავი. მაგრამად გამიტყდა, ძმობას გეფიცები. რამდენი რამე მახსოვს და მიდგება ახლა თვალწინ! ასეთი დიდი და ლამაზი სიყვარულის და ოჯახის დანგრევა, ნატუსიასნაირი გოგოს გულისტკენა არ ვარგა, მაგრამ.. ფაქტია, ის განიკურნა და ახლა შენ შემოგჩენია კიბოსავით, ძმაო სხვა ქალის, სხვა საქმის, ცვლილების სურვილი და ან უნდა თავიდან მოგესპო, ან რადგან უკვე ყველაფერი მომხდარია, ნუღა ფილოსოფოსობთ, რა.. მე ასე ვფიქრობ, და რა ვიცი.. ნატაც შეგნებული გოგოა, გაიგებს ყველაფერს.

-ხო, ალბათ, მართალი ხარ. უბრალოდ, მასე მარტივადაც არ არის საქმე, შენ ყველა დეტალი არ იცი და ვერც მოგიყვები, მაგრამ.. მოკლედ, არის მიზეზები, რის გამოც მრცხვენია ცოტა, ვიცი, რომ ძალიან ვატკინე გული და მიჭირს ასე მიტოვება.. მიჭირს.. თორემ, ყურადღებას და საჭიროებებს რომ არ მოვაკლებ ჩემს ცოლ-შვილს, ამაზე არაა საუბარი..

-ჰოდა, ნუ მოაკლებ. აქეთ ამათ მიხედავ, იქეთ შენს ცხოვრებას აიწყო, ბოლოს ყველა დარჩება კმაყოფილი. ეე, რამდენი შორდება ახლა, იცი? ერთხელაა ეს ცხოვრება და უნდა შენს გემოზე გაატარო, რა..

-და სიყვარული? -ყრუდ კითხულობს აქამდე ჩუმიად მჯდომი ნიკა

-ბიჭო, სიყვარული რომ ჰქონოდა, ხო არც უღალატებდა და არც მიატოვებდა, რაზე ვბაზრობთ მაშინ? გადამრევს ეს ხალხი! - ლორის ნაჭერს გადაწვდება ლავჩიკა, გემრიელად ჩაღებავს და წყალს დაისხამს.

თემო წვეკლაგადარტყმულივით ზის. ნიკას ეღიმება.. ამ დროს ტელეფონი რეკავს.

თემო გადის, ელაპარაკება, ნიკას ცარიელი ბოთლები და თეფშები გააქვს, ახალი ბოთლი შემოაქვს, ლავჩიკა მიირთმევს.

4.

თემო ასრულებს საუბარს და შემოდის მოხასიათებული.

-ჰო, რააა.. ცუდად გამოდის ნატასთან, მაგრამ რას ვიზამ, ტყუილს, გაორებას, წვალებას, სჯობს, რა, ყველაფერი გარკვეული იყოს და ყველას თავისი ადგილი ჰქონდეს ცხოვრებაში!

- ადგილი რას ნიშნავს? -ჯერ წყნად კითხულობს ნიკა, მერე აგრძელებს ნელა მაგრამ მზარდი ხმით და ტონის თანდათანობითი ცვლილებით

- სადაა ნატას ადგილი? ნაფტალინში? თუ სანაგვეზე? ტვინის ერთ ხვეულში თუ გულის რომელიღაც კუნჭულში?? რა უცებ მოხასიათდი მაქ ქალბატონის ზარის მერე? რა იყო, უცებ მოგელანდა მოგზაურობა, საგამოფენო დარბაზები, სასტუმროები და ფოტოებიანი თეთრეული და განხორციების ტკივილი ეგრევე გაქრა და შემოხორციების სიამოვნება აგექავა? სიყვარულის ერთი ბუშტი დაგეჩუტა და მეორე გაგისკდა? იმ ქალბატონმა არ იცოდა, კურკური რომ დაგიწყო, ცოლ-შვილიანი რომ იყავი, თან გიყვარდა შენი ცოლი და თან ამდენი გადაიტანა ამ სულ რაღაც 37 წლის გოგომ?? ხომ იცოდა მაგ ნა--მა! მაინც ხომ შემოგიძვრა გველივით და ისე დაგეხვა თავბრუ, ახლა ვეღარ არჩევ, ვინ ვინ არის და ვის რა ადგილი უნდა მიუჩინო? ახლა იმაზე ვართ შეყვარებული, ვისთანაც უკეთესად ავეწყვით?

- რა გჭირს, შენ, ტოო? რას აკრიფე, ვაფშე? როდის იყავი ასეთი აგრესიული?! ნატა რომ გიყვარს დასავით, ვიცი, ძმაო, მარა ამ ლიკას არც იცნობ და რას ლანძღავ, ვერ გავიგე!. ქალი ყველაზე მურტალ მომენტში დამეხმარა, გვერდში დამიდგა, დამამშვიდა, ჩემს საყვარელ საქმიანობასთან დამაბრუნა, წინ ამდენი საშუალება გამიხსნა, რატომაა ნაბოზარი? რა, ადამიანობა, სიკეთე, დახმარება აღარ არსებობს?

-აუუ, შენ რა მაგრა ხარ უკვე დაბმული, თემო!. ადამიანობა და სიკეთე რომ არ არსებობდეს, თავს დღესვე მოვიკლავდი, მაგრამ ეს ქალი რომ თავისას იჩაღიჩებს შენი დახმარება- მოფერებით დავალებულს და მაღლიერს რომ გხდის, თავის ცხოვრებას რომ გაჯაჭვავს, მაგას მართლა ვერ ტვინავ? თუ მართლა შეგიყვარდა, ვერ გავიგე? ნატა ავადმყოფი და უუნაროა და გადაგიყვარდა და ეს ჯანმრთელი და ყოვლისშემძლე ქალბატონია და შეგიყვარდა? ნატა ნაკლებად დაგიდგა რამეში გვერდში და დაგაკლო ან ზრუნვა, ან მოვლა, ან სიტბო, ან ერთგულება და სიყვარული? დანარჩენი შეგექმნა შენ თვითონ ძმაო, თუ წარმატებული და თანამდებობის ქალების წაჯიკებით მოპოვება უფრო მოკლე და ადვილი გზაა? ნატა ვინმეზე ნაკლებ წარმატებული იქნებოდა ახლა ან ნაკლებ თანამდებობაზე, შენ რომ არ გამოგყოლოდა, თუ ასეა? ოჯახი, შვილი, შენი ხელშეწყობა, მერე ეს უპატრონო კიბო, და გავიდა 7 წელი ამაში, ამოვარდა ქალი დაწყებული საქმეებიდან, თორემ ნაკლები ჭკუა-გონება და ადამიანობა აქვს? ეს ხომ უსამართლობაა! ვიღაცას შანსი მიეცა და ვაშა, ვიღაცას არა და არ ვარგა, არ გვჭირდება.. დავიღალეთ! ლავჩიკას არ იყოს, შეგვიჩნდა ვიღაცა კიბოსავით და ჰოპ! მთელი ცხოვრების სიყვარული უცებ გადაგიყვარდა?

- ჰო, ძმაო, ჰო!, დავიღალე! ნატა რასთან ასოცირდება, მითხარი! სულ დაბრკოლებები, უსიამოვნებები, გაჭირვება, ბრძოლა, მერე კიდევ ეს საშინელი სენი.. და ლიკა რასთან? ჩემი საყვარელი საქმე, სიხარული, იმედი, წარმატება, რწმენა, ზრუნვა, სიმშვიდე, მხარდაჭერა.. გადამიყვარდა შენი ნატო, ჰო!. მეცოდება, მაგრად მეგლიჯება გული, მაგრამ, სიბრალებისთვისაც არ მემეტება-თქო, გითხარი! მათხოვარ- ქველმოქმედის ურთიერთობა რომ სდომოდა, თვითონაც მთხოვდა წუხელ - მიყვარხარ, უშენოდ მოვკვდები და არ დამტოვო! არ უნდა ეს სამადლოდ მიგდებული სიყვარული ქალს და არც მე მინდა ეს გაძალღებული ცხოვრება, ბიჭო, გაიგე, ჯერ 40 წლის ვარ და თავი დავისამარო უკვე? - დადის ოთახში, კეფას ისრესს..

მეც ვარ, რაა.. რას მოვდიოდი აქა და რას გეკითხებოდი რამეს! შენ საერთოდ რა იცი, რა არის სიყვარული, ვინ გყვარებია საერთოდ, მე ამდენი წელია გიცნობ და არც მინახიხარ შეყვარებული.. რა გედარდება შენ, ოჯახი არ გაქვს და საზრუნავი! როცა გინდა, მაშინ გყავს ქალები, არ გინდა - არ გყავს, თავისუფალი კაცი ხარ, წარმატებული ბიზნესმენი და შენი საზომით ზომავ.. თავად ალბათ ტკბები აქ ნაირ - ნაირი გოგოების ამოყვანით და მე მიკითხავ აქ ბრტყელ-ბრტყელ ნოტაციებს როგორ უნდა მიყვარდეს გულით და თვალებით მეხუთეკლასელივით და როგორ გავატარო მონზონივით დარჩენილი ცხოვრება!

-ნაირ-ნაირი ქალები? გართობა და დროსტარება? (ნიკა დარბაისელი, კეთილმოწყობილი კაციდან ტკივილით სავსე ადამიანად იქცევა, მთელი სახითა და სხეულით იძაბება) თემოო, ერთი ხელის თითები (გაშლილი ხუთი თით თემოს თვალებთან მიაქვს) მეყოფა იმ ქალების ჩამოსთვლელად, რომელებთანაც ვიყავი სულ

ამ 20 წლის მანძილზე და ისიც, გაღვიძებულზე ყველაფრის ლეწვა მინდებოდა ხოლმე, გაიგე? მე რა ვიცი სიყვარულის? მე რა ვიცი?? .. ჰმ.. გულწრფელი წუხელ მეგონე, ნატაზე შეყვარებული, რომელსაც ასეთი გოგოს ღალატის გამო სინდისი ქენჯნის, სული ტკივა.. რომელიც ხიბლის ქსელშია გაბმული და თავის დაღწევისთვის ძმაკაცს სთხოვა დახმარება! მაგრამ გულწრფელი და ნამდვილი ახლა ხარ შენ და შენც! (ლავჩიკას მიუბრუნდება) მაგრამ შენ ასეთი იყავი ბავშვობიდან და არ მიკვირს... შენი ასეთი უეცარი შეცვლა და გადაწყვეტილება კი მკლავს, ბიჭო! იცი რატომ? იმიტომ რომ მე მჯერა ამ დედაატირებული სიყვარულის, გაიგე? მჯერა (გულზე ხელს ირტყამს) შეყვარებული არ გყოლიაო? მე რომ შეყვარებული მყავდა, ეგეთი გოგო ბარე ორი არ დადის დედამიწაზე! 6 წლიდან ერთად დავტანტალეზდით, ერთმანეთს არ ვცილდებოდით და ისე ვუხდებოდით ერთმანეთს, ბრმაც კი მიხვდებოდა, ერთი მთლიანის ორი ნაწილი რომ ვიყავით. თუ ვლაპარაკობდით, ხომ ერთ ენაზე და, სიტყვის დასრულება არ გვჭირდებოდა, ერთდროულად ერთნაირი აზრები კი არ მოგვდიოდა მარტო თავში, ერთნაირი სიტყვებითა და ფრაზებით მოგვდიოდა ის აზრები, გაიგე, თემო? და თუ ვდუმდით, იმ დუმილშიც ვაგრძელებდით ლაპარაკს.. ცოტა ხნით რომ ერთმანეთს დავმორდებოდით, ისევ ვწერდით და ვრეკავდით და ვსაუბრობდით გაუთავებლად, თუ იყო მაგის საშუალება, თუ არა და ასე, გონებით, მანძილზე, წარმოსახვაში ვჭუჭყუკვებდით და როცა შევხვდებოდით, მაშინ ვუყვებოდით ერთმანეთსა და დამთხვევებზე ვიცინოდით მერე, აღარც კი გვიკვირდა.. იმასღა ვამოწმებდით, რა დღეს იყო და რა დროს ეგ რომ გაიფიქრეო.. ერთხელ არ დავუჯერე, ეგებ იგონებს, „უი, მეც მაგაზე ვფიქრობდიო“, რომ მითხრა და ეწყინა. მოდიო, მაშინ დავწეროთო ცალკ- ცალკე ფურცლებზე ჩვენი სათქმელი და გავცვალოთ მერე, ვნახოთ თუ მაშინაც დაემთხვევაო!

თემო გაშტერებული დგას.. ეს ამბავი ჯერ არ გაუგიათ ამდენი ხნის მეგობრისგან.. ლავჩიკაც კი, რომელიც მანამდე დაპრუწული სახით იდგა, ყავას წრუპავდა, კიკნაობდა და ერთი სული ჰქონდა, მალე გასულიყო თემოსთან ერთად, კეპშებრუნებული და პირმოღებული ჯდება ბარის სკამზე, ყველაფერს თავს ანებებს და მიშტერებული უყურებს ნიკას, ძლივს ყლაპავს ნერწყვს და გატეხილი ხმით ეკითხება

- მერე? არ მითხრა, ეხლა, რო ეგრეც ქენით და დაემთხვა..

ნიკა შუაში დგას, ტირილამდე მისული სახით, თავზე ისვამს ხელებს, თითქოს თმას იწვეს უკან და ნელა და დიდხანს იქნევს თავს. მერე ცრემლები ჩამოსდის და სახეზე იფარებს ხელებს. ბიჭები დაბნეულები არიან, ერთმანეთს უყურებენ, მიუახლოვდებიან და შეხებასაც ვერ უბედავენ, ლავჩიკა სავარძელს მიაჩოჩებს, ეგებ დაჯდესო, მაგრამ ნიკა ფანჯარასთან დგება, ყველასგან ზურგით და ყრუ ხმით აგრძელებს:

- ვერ დავიცავი.. ვერაფერი გავაკეთე, ვერ მოვერიე, ვერ დავიცავი ეს შვიდმეტი წლის გაზაფხულივით გოგო.. მე გაგრას ვერ დავტოვებდი და ეგ კი ჩემ გამო დარჩა ქალაქში, აფხაზი მეზობელი მალავდა, ნახევრად იქ იყო გაზრდილი და გვეგონა, ხელს არავინ ახლებდა, მაგრამ მე დავლუპე, მეე -ხელს ირტყამს გულში და ხმა უტყდება. მცირე პაუზის მერე ისევ სწევს თავს და ისე იწყობს ხალათის ჯიბეებში დაჭიმულ ხელებს, ლამის ჩამოხიოს ხალათი,

- მთელმა ქალაქმა იცოდა ჩვენი სიყვარულის ამბავი და ჩემს დასაჭერად ჩემი აფხაზი „მეგობრის“ მამამ გამოუთრია ეს ანგელოზი იმ არაკაცებს. ამის გამო გამოვალ!

ბიჭები კიდევ უფრო იძაბებიან. თემოს ცუდ უგრძნოს გული, სავარძელში ეშვება მოწყვეტით და ხელს იფარებს ყურებზე, თითქოს არ სურს, გაგრძლება მოისმინოს, ლავჩიკას უნდა, მივიდეს ნიკასთან, მაგრამ ვერ ბედავს ბოლოს და მის უკან დგება, თითქოს მომზადებული იმისთვის, რომ გულში ჩაიკრას, რომ მობრუნდება!

-ლორისშვილებმა იქ ამბები დაატრიალეს, კაცი და ბიჭი არ დატოვეს, დახოცილთა გვამები პირდაპირ ქუჩებში ეყარა.. გადარჩენილები ვიძალეობდით, ვიცოდით, აზრი აღარ ჰქონდა შებრძოლებას, ვერ მოვერეოდით და იმ ახვარს თვალში რომ დავაკლდი, მეძებარი ძალლივით დამიწყო მთელ გაგრამში ძებნა. პარკში ისეთი სამალავი გვექონდა, მარტო მე და ციცი ვიცოდით, რას მიპოვიდა. გამწარებულმა ციცი გამოათრია ნაწნავით და მუხლებზე ხოხვით დაათრევდა მთელ ქალაქში, სანაპიროზე, პარკში და ბლაოდა, აგერ მყავს შენი კახპა და გამოდიო.. დღემდე ყურებში მაქვს ის ხმა და ციცის ტირილი.. მევედრებოდა, თუ მართლა გიყვარვარ, არ გამოხვიდე, ამათ თავი არ შეაკლაო.. პარკში რომ შემოათრა, მაშინ გავიგე მისი ბლავილი, ტვინში ამივარდა სისხლი, გიჟივით გადმოვხტი სამალავიდან, ვეცი კისერში, 8 კაზაკი და აფხაზი ჯარისკაცი ერთად დამაცხრა თავზე და ორივე წაგვათრიეს იქვე, პარკის ადმინისტრაციის დაცხრილულ შენობაში..

ნიკა გაჩუმდა. ბიჭებმა ისევ ერთმანეთს გადახედეს. თემომ საყელო გაიღელა, მუშტები შეკრა, სახე ჩაღუნა, თითქოს სახეში გარტყმას ელოდებო და ცოტა ხნის უკან გულანთებული კაცი კუთხეში მიმწყვდეულ მსხვერპლს დაემსგავსა..

ზუსტად იმ დროს, როცა ლავჩიკამ ნაბიჯი გადადგა, რომ მხარზე ხელი დაედო ნიკასთვის, ის უცებ ისევ ალაპარაკდა, ოღონდ ახლა აღარ მალავდა, რომ ტიროდა

-რვანი იყვნენ.. სიგიჟისგან თითქოს დევის ძალა მომეცა, ისე ვიბრძოდი, მაგრამ მაინც გამაკავეს, თმით დამქაჩეს უკან და მაიძულებდნენ, უყურეო.. ჯერ ვაგინებდი, მერე ვემუდარებოდი, დებსა და დედებს ვაფიცებდი, მერე ვეხვეწებოდი, მომკალით თქვე არაკაცებო -მეთქი! იცინოდნენ, ერთმანეთს გაუთავებლად ცვლიდნენ, თავისი ბინძური ხელებით, იარაღით ყველგან ეხებოდნენ ჩემს ანგელოზს, ჩემს ღვთაებას, ჩემს გოგუცუნას.. იმან მალევე დაკარგა გონება, მე - ბოლო გაბრძოლებისას, თოფის ართმევა

რომ ვცადე და კონდახი რომ ჩამცხეს.. გონზე ისევ თვითონ მოგვიყვანეს, ვედროთი დაგვასხეს წყალი.. გაკოჭილს ციცის კაბა დამაფარეს თავზე, არ დაგხოცავთ, ამ ყველაფრით ცხოვრება მეტი წამება იქნებაო თქვენთვის.. ერთი, ამის მერე როგორ გეყვარებათ ერთმანეთი, ვნახოთო, შარვლების სწორებით და სიცილ-სიცილით წავიდნენ. ციცი გადიდებული თვალებით კუთხეში მიყუჟული იჯდა და კანკალებდა, თავის ულამაზეს, დაშლილ ნაწნავებს იფარებდა ტანზე და კი არ ტიროდა, ერთ წერტილს მიშტერებული იჯდა და კანკალებდა მარტო.. მე კიდე ნადირივით ვბლაოდი, კბილებით ვიგლეჯდი ბაწარს, ძლივს ავიხსენი თავი, ხოხვით მივედი, მოვეფერე, ჩავიკარი, არაუშავს, გადავიტანთ, ყველაფერს მოგიშუშებ, დაგავიწყებ, ხელისგულზე გატარებ, ოღონდ გადავრჩეთ ამ უბედურებას, ხომ ხედავ ყველა ქართველი გაწყვიტეს, ჩვენ უნდა გადავრჩეთ - მეთქი. დაბნელებული იყო უკვე და ხელში აყვანილი გავიყვანე, დავბანე ზღვაში, ჩავაცვი, ხმა ვერ ამოვალებინე და ასე უჩუმრად გავატარეთ ღამე ჩვენს სამალავში, სიქაგაცლილებს ასე ერთად ჩაგვეძინა, მაგრამ.. მაგრამ გაღვიძებულზე.. მარტო აღმოვჩნდიი.. მარტოოო.. ციცის გარეშე, იმ დილით და.. დღემდე..

ლავჩიკა ველარ მოითმენს, მივარდება, გულში ჩაიკრავს და მასთან ერთად ტირის..

თემო დგება, გადი-გამოდის, თან მისვლა უნდა, თან ვერ ბედავს, ისევ ნიკა ხსნის თავს ლავჩიკასგან, გადის, სახეს იბანს, წესრიგდება, ბრუნდება, სიგარეტს იღებს, უკიდებს, ვისკის ისხამს, ბიჭებსაც უსხამს.. ლავჩიკა გარს უვლის, კითხვის დასმას ვერ ბედავს, თან უნდა, გაიგოს რა და როგორ..

ნიკა ხვდება, რაც უნდა და მოკლედ ამბობს - ცხედარი მოგვიანებით გამორიყა ზღვამ. იმავე აფხაზმა მეზობლებმა ეპიეს, ნახეს და დამარხეს.. მე უკვე გაგრამში არ ვიყავი, ბიჭებმა მანამდე მიპოვეს ცოცხალ-მკვდარი და გამომათრიეს.. გონზე რომ მოვედი, ოდესაში აღმოვჩნდი და იქვე შევრჩი.. მთელი 8 წელი.. მერე ძლივს ვიპოვე ჩემები აქ და ამიტომ გადმოვედი და გადმოვიტანე ჩემი ახალაწყობილი საქმეც .. და თქვენც მაშინ შეგხვდით..

თემო ამას არ ელოდა.. ხმას ვერ იღებს.. მერე ლულულუღებს

-არაა .. დაუჯერებელია... ღმერთო, ნიკა, ღმერთო, კი მაგრამ.. როგორ, როგორ??... რომ გაგიცანით, ისე გვშურდა შენი, ეს 26-27 წლის ახალგაზრდა, გაპრანჭული, წარმატებული საქმოსანი, ოდესიდან, ჩვენ ბოლოკურსელი უმაქნისი ბიჭუშკები.. და თურმე, ეს... წარმოუდგენელია.. ღმერთო, დაუჯერებელია.. ვინ იფიქრებდა.. ამდენი წელია, ვმეგობრობთ და არასდროს მოგიყოლია ეს, რატომ? რატომ, ნიკა?

-არასდროს, არავისთან, არსად არ ვყვები.. როგორ მოვეყვები? არ შემიძლია .. მოყოლა კი არა, როცა ვიხსენებ, ვკვდები.. -ნიკა მართლა მკვდარივით ზის.

თემო ზის და თავს იქნევს, ახლა ხვდება ყველაფერს და ეს ფიქრები მიმიკაზე ეხატება - თავს ხან განზე იქნევს, ხან ზემოთ-ქვემოთ, ხან წარბებს წევს, ხან სახეზე ისვამს ხელებს და ზემოთ იყურება, ხან თავს რგავს ხელებში.. ლავჩიკა კი ერთ პოზაში გაყინული და მობუზული ზის, კეპს და კაშნეს იხსნის, აკეცილ სახელოებს ქვემოთ იწევს და გვერდზე აგდებს, თითქოს თავისი გადაპრანჭული ჩაცმულობა აღიზიანებს. უხერხულ სიჩუმეს ბოლოს თემო არღვევს:

-მაპატიე, ძმაო.. მაპატიე..

ნიკა გაკვირვებით და დაკვირვებით უყურებს ჯერ, მერე თავს გაიქნევს, მოსვამს ვისკის

-პირიქით, შენ მაპატიე. ზედმეტი მომივიდა. შენი საქმისა შენ იცი.. ღმერთმა ბედნიერად გამყოფოს..

თემო დგება, მხარზე ეხება, ლავჩიკას გადახედავს, ისიც დგება, წასასვლელად ემზადებიან.

ლავჩიკა - ხვალ ოფისში შევხვდებით, ნიკ. თუ რამე, დამირეკე და აქ გავჩნდები ! თუ გინდა, დავრჩები, რა ვიცი..

ნიკა თავს იქნევს უარის ნიშნად, არ დგება, წრუპავს ისევ ვისკის, დაღლილი და დაცლილია..

თემო ლაბადას წვდება და ზარიც ისმის. ცალ სახელოში ხელგაყრილი დახედავს ტელეფონს. ლიკა ურეკავს. თემო ასევე შემდებია, ჯერ არ პასუხობს, ზარი არ წყდება, მერე იბნევა, არ იცის გათიშოს თუ უპასუხოს, მერე სიმტკიცეს პოულობს, აჭერს ხელს დილაკს და უსმენს იქიდან ტექსტს, თვალდახუჭული, მოთმინებით, ის რომ ამთავრებს ეს ნელა, ჩუმად, მაგრამ მტკიცედ პასუხობს..

- ლიკა, მესმის, მესმის და მადლობა, მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ მე, ალბათ, ახალ პროექტში ვეღარ გამოგყვებით.. არც ვიქნები აქ. ცოტა ხნით უნდა წავიდე ქალაქიდან... არა... არა.. სახლში არა.. კი ... არა, ეგ არაფერ შუაშია.. უბრალოდ, სხვა საქმეები გამომიჩნდა.. კი... ცოტა ხანგრძლივ მივლინებაში მიწევს წასვლა... მესმის, ვიცი, მაპატიე.. მადლობა..

..თიშავს.. იცვამს თავის ლაბადას და ლავჩიკასთან ერთად სწრაფად ტოვებს ოთახს.

ისმის იგივე მუსიკა, რასაც დასაწყისში უსმენდა, შუქი ეცემა ნიკაზე, რომელიც დაფიქრებული და უკან თავგადაგდებული ზის სავარძელში, ოდნავ იქნევს თავს, ხელის თითებსაც ოდნავ ათამაშებს, მუსიკის რითმს აყოლებს და ისადგურებს სიჩუმე და სიმშვიდე..

დასასრული

ფარდა

